ქართულ მხარეს სთავაზობს სასწავლო სტიპენდიას წელიწადში 50 ქართველი სტუდენტისათვის, უნგრეთში, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად შემდეგი ჩარჩოს შესაბამისად: 10 სასწავლო სტიპენდია სოფლის მეურნეობის სფეროში, 10 სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მდგრადი განვითარების სფეროში, 5 სტიპენდია საექთნო საქმეში, 10 სტიპენდია ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში, 10 სტიპენდია წყლის რესურსების მართვაში, ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში. აგრეთვე, ხელმისაწვდომია 5 სტიპენდია ინგლისურენოვანი სრული სადოქტორო პროგრამისათვის ნებისმიერ სფეროში.

უნგრეთის მხარე ამასთანავე, სთავაზობს ქართველ სტუდენტებს არასრულ სასწავლო კურსებს (part-time studies), რაც გულისხმობს სწავლას ერთი აკადემიური წლის მანძილზე საბაკალავრო ან სამაგისტრო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე (იხ. დანართი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კონკრეტულად საქართველოსათვის ხელმისაწვდომ პროგრამებზე და სწავლების სფეროებზე).

უნგრულ ენაზე სწავლების შემთხვევაში, სტუდენტები გაივლიან ერთწლიან მოსამზადებელ ენის კურსს ბალაშის უნივერსიტეტში (Balassi Institute). სტუდენტებს, რომლებიც აირჩევენ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას, მოეთხოვებათ ინგლისური ენის ცოდნა იმ დონეზე, რომელიც განსაზღვრულია მიმღები უნივერსიტეტის მიერ.

ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა და მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა მოცმულია, შემდეგ ბმულზე: http://limesurvey.tpf.hu/index.php/267728/lang-en. უნგრეთის მხარე არ აფინანსებს მგზავრობის ხარჯებს. სწავლა აკადემიურ პროგრამებზე დაიწყება 2015 წლის სექტემბერში.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 15 აპრილი. სააპლიკაციო ფორმებისა და შესაბამისი საბუთების მიწოდება უნდა იქნას უზრუნველყოფილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგ ელ.მისამართებზე: abaramia@mes.gov.ge და rjobava@mes.gov.ge

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება თქვენს ფაკულტეტებზე.

დანართი: 33 გვ.

პატივისცემით,

თეა გერგედავა

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი